საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბალანჩივაძე რევაზ გედევანის ძე

ბალანჩივაძე რევაზ გედევანის ძე (დ. 7. XI. 1938, ქუთაისი), ფილოსოფოსი., ფილოს. მეცნ. დოქტორი (1982), პროფესორი (1987), დაამთავრა ქუთ. პედ. ინ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტი (1960). საქართვ. მეცნ. აკად. დ. უზნაძის სახ. ფსიქოლ. ინ-ტის უმცროსი მეცნ. თანამშრომელი (1961–62), საქართვ. მეცნ. აკად. ფილოს. ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი (1962–76), საქ. კპ ცკ-თან არსებული პარტიის ისტ. ინ-ტის მეცნ. კომუნიზმის განყ-ბის გამგე (1976–82), გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორი (1982–84), საქ. კპ ცკ-ის თანამშრომელი (1984–86), საქართვ. რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრ. და კინოხელოვნების ინ-ტის ფილოს. კათედრის გამგე (1986-იდან).

მოღვაწეობის ძირთადი სფეროები: ფილოს. ანთროპოლოგია, ეთიკა, კულტუროლოგია.

თხზ.: ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლების კრიტიკისათვის, თბ., 1965 (თანაავტ. გ. ცინცაძე); ადამიანი, თავისუფლება, პასუხისმგებლობა, თბ., 1976; ადამიანი და ტრადიცია, თბ., 1977; ადამიანის ფილოსოფიური კონცეფცია ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში, თბ., 1977; უფლება-თავისუფლებათა და მოვალეობათა დიალექტიკა, თბ., 1980; ზნეობრივი აღზრდის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე, თბ., 1980.